კვებითი აშლილობის გამოცდილება - პაციენტის ნარატივი

თინათინ გელაშვილი

ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

თბილისი, 2024

ავტორის შენიშვნა

მოცემული ნაშრომი შექმნილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

როგორც წინამდებარე ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ დოკუმენტი შექმნილი და წარდგენილია ყველა აკადემიური და ეთიკური წესის დაცვით. ასევე ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორეთა ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: თინათინ გელაშვილი

აბსტრაქტი

ფსიქოანალიტიკური პერსპექტივიდან, კვებითი აშლილობები ხშირად დაკავშირებულია თვითრეგულაციის უნარის დეფიციტთან. ეს მდგომარეობა სათავეს იღებს ადრეულ ბავშვობაში, მაშინ, როცა ფსიქიკის სტრუქტურა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. როდესაც მშობელსა და ჩვილს შორის ურთიერთობის დინამიკა დარღვეულია, მოწყვლადობა ქცევითი აშლილობისადმი მაღალია. რაც უფრო ადრეულია ტრავმა, მით უფრო დიდია შანსი ბავშვს განუვითარდეს დისფუნქციური კვებითი მიდრეკილებები, რადმდენადაც კვება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების პირველი მდგენელი და კომუნიკაციის პირველადი ფორმაა. ამასთან, რაც უფრო ადრეულია ტრავმა, მით უფრო პრიმიტიულ დაცვით მექანიზმებს მიმართავს ადამიანი. წინამდებარე კვლევა კვებით აშლილობას, განიხილავს, როგორც სიმპტომს, რომელსაც აქვს თავისი მიზეზიც და მიზანიც. ამ მდგომარეობის ფუნქციის გაგება დაგვეხმარება მკურნალობის ეფექტური სტრატეგიების დაგეგმვაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო კვებითი აშლილობის მქონე 5-მა პირმა, რომელთანაც ჩატარდა ნარატიული სტილის ინტერვიუ. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზით, რის შედეგადაც გამოიყო 2 ძირითადი თემა: 1. დისფუნქციური ოჯახი - სიმპტომი ოჯახში, თუ ოჯახური სიმპტომი? 2. სიმპტომი და მისი ფუნქცია - თვითდესტრუქცია თუ თვითგადარჩენა?

კვებითი აშლილობები, თვისებრივი კვლევა, დისფუნქციური ოჯახი, მშობელი-შვილის ურთიერთობა, სიმპტომი, სიმპტომის ფუნქცია.

Abstract

From a psychoanalytic perspective, eating disorders are often associated with a deficit in self-regulation strategies. This condition originates in early childhood when the structure of the psyche is still in the process of formation. When the dynamics of the relationship between the parent and the infant are disrupted, the vulnerability to behavioral disorders is high. The earlier the trauma, the greater the chance that the child will develop dysfunctional eating tendencies, as eating is the first constituent of human psychic life and the primary form of communication. Additionally, the earlier the trauma, the more primitive the defense mechanisms that a person resorts to. The present study examines eating disorders as a symptom that has both a cause and a purpose. Understanding the function of this condition will help us plan effective treatment strategies. Five individuals with eating disorders participated in the study, and narrative-style interviews were conducted with them. The data were processed using thematic analysis, resulting in three main themes: 1. Dysfunctional family - a symptom in the family, or a family symptom? 2. The symptom and its function - self-destruction or self-preservation?

Keywords: Eating disorders, qualitative research, dysfunctional family, mother-infant dyad, symptom, symptom function